



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/36

(კოდიფიცირებული)

ქ. ბათუმი

15 ივლისი, 2021წ.

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე-10 მუხლის, „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის 2250 ლარამდე შემცირების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11 გადაწყვეტილების, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 23 თებერვლის №152786 ბრძანების, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის 29 აპრილის წერილის (MES8210000432100), ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნის (N 453959, 19.05.2021 წ), სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი გაგზავნილი ბსუ-ს წერილის (14.05.2021 წლის MES9210000447916), ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების (60-დღიანი ვადა ხარვეზის გამოსწორების თაობაზე, ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 9 ივნისის სხდომის ოქმის NMES0210000549059), იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 12 ივლისის N701978 სამსახურებრივი ბარათის, „ბსუ-ს ზოგიერთი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის (2011-2012 სასწავლო წლიდან ჩარიცხული პირები) ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/30 გადაწყვეტილების, და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს თანდართული „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესი“ (დანართი 1).

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი

დავით ბარათაშვილი

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის

15 ივლისის N07-01/36 გადაწყვეტილების

*(ცვლილებები და დამატებები:
ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/02)*

დანართი 1

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესი

1. ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესი ადგენს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე (შემდეგში - „პროგრამა“) სწავლის საფასურის ოდენობას და არეგულირებს საფასურის ცვლილების შესახებ ბსუ-ს საქმისწარმოებას.

2. ბსუ-ში საქართველოს მოქალაქეებისთვის საბაკალავრო, ერთსაფეხურიან და სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის წლიური საფასური შეადგენს 2250 ლარს (აკადემიურ წელში ასათვისებელი 60 კრედიტის საფასური), ხოლო სადოქტორო პროგრამაზე - 3000 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის სწავლის წლიური საფასური საბაკალავრო, ერთსაფეხურიან და სამაგისტრო პროგრამებზე შეადგენს 2250 აშშ დოლარს, ხოლო სადოქტორო პროგრამაზე - 3000 აშშ დოლარს. ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის სხვა ოდენობა შეიძლება განისაზღვროს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამით ან/და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით. *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/02 გადაწყვეტილებით)*

2¹. ბსუ-ში ჩარიცხვის (სტუდენტის სტატუსის მოპოვების) შემდეგ საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე, სწავლის წლიური საფასური ამ სტუდენტს განესაზღვრება წინამდებარე წესის მე-2 პუნქტით შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული ოდენობით ლარში: *(დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/02 გადაწყვეტილებით)*

ა) მიმდინარე სემესტრიდან - თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 ნოემბრამდე და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ან თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 აპრილამდე და გაზაფხულის სემესტრში

წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია;

ბ) მომდევნო სემესტრიდან - თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 ნოემბრიდან და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ან თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 აპრილიდან და გაზაფხულის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია.

3. წინამდებარე წესში აღნიშნული სწავლის წლიური საფასურის ოდენობა აისახება ბსუ-ს მართვის ორგანოების შემდეგ სამართლებრივ აქტებში:

ა) შესაბამისი პროგრამის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებაში და შესაბამისად, არ საჭიროებს წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული აკადემიური საბჭოს დადგენილების გამოცემის შემდეგ ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტის მიერ მომზადებულ, შესაბამისი პროგრამის ხარჯთაღრიცხვის (პირველადი) დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებაში (ფაკულტეტის ინიციატივა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების პროექტი უნდა მომზადდეს წინამდებარე წესზე თანდართული ფორმით - ფორმა N1).

გ) პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილების პროექტში.

4. წინამდებარე წესის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური საბჭოს დადგენილების/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების გამოცემის მიზნით შესაბამისი ფაკულტეტი (საბჭო/დეკანი) ვალდებულია ბსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგინოს გამოსაცემი სამართლებრივი აქტების შესახებ წერილობითი ინიციატივა (სამსახურებრივი ბარათი), აკადემიური საბჭოს სხდომამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღით ადრე.

5. წინამდებარე წესის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, მომდევნო სასწავლო წლისათვის პროგრამებზე მიღების მიზნით შესაბამისი პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილების პროექტის მომზადება და წარდგენა უნდა განხორციელდეს შემდეგ ვადებში და პროცედურების დაცვით:

ა) არაუგვიანეს 30 ოქტომბრისა - შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს საოქმო გადაწყვეტილებების საფუძველზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის დეკანი ამზადებს პროგრამების ჩამონათვალს, მისაღებ სტუდენტთა კონტიგენტს და საქართველოს ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ, ანკეტა-კითხვარში შესატან სხვა ინფორმაციას, რომელიც ელექტრონული საქმისწარმოების საშუალებით, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვიზირებით წარედგინება ბსუ-ს რექტორს;

- ბ) არაუგვიანეს 15 ნოემბრისა - სასწავლო პროცესის დეპარტამენტი ამზადებს საუნივერსიტეტო ანკეტა-კითხვარს, ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტების გათვალისწინებით, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან თანამშრომლობით (პროგრამების სწავლის საფასურის ნაწილში ინფორმაციის მიღებისათვის) და ამ სტრუქტურული ერთეულის და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ვიზირებით წარუდგენს ბსუ-ს რექტორს;
- გ) არაუგვიანეს 30 ნოემბრისა - ბსუ-ს პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილების პროექტს და სამსახურებრივ ბარათს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროექტის საბოლოო რედაქციასთან ერთად, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის ვიზირებით წარუდგენს ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს (საკითხი აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 10 დეკემბრისა);
- დ) არაუგვიანეს 15 დეკემბრისა (ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ვადაში, უფრო ადრე) - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება ანკეტა-კითხვარის დამტკიცების თაობაზე ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით) ელექტრონულად აისახება სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში, ასევე საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად იგზავნება მატერიალური სახით შესაბამის უწყებებში/დაწესებულებებში და წარედგინება ბსუ-ს კანცელარიას, ბსუ-ს საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად;
- ე) წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული აქტივობების ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების მიერ დადგენილ ვადაში შესრულების კონტროლს ახორციელებს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დარღვევის შემთხვევაში ვალდებულია სამსახურებრივი ბარათი წარუდგინოს ბსუ-ს რექტორს.
6. ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული წერილობითი ინიციატივა რომელიმე სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხაზე მეტი ოდენობით განსაზღვრის თაობაზე, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ წარედგინება ბსუ-ს რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. აღნიშნულ მართვის ორგანოებთან შეთანხმებით, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის დასკვნის/სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტი ამზადებს საქართველოს მთავრობის თანხმობის (განკარგულების) პროექტს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში/საქართველოს მთავრობისათვის გასაგზავნი წერილის პროექტს, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით (შესაბამისი მართვის ორგანოებისა და სტრუქტურების ვიზირებით).
7. რომელიმე სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხაზე მეტი ოდენობით განსაზღვრის თაობაზე ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებულ წერილობით ინიციატივაში უნდა მიეთითოს, თუ რომელი სასწავლო წლისათვის უნდა განისაზღვროს გაზრდილი სწავლის საფასური. საქართველოს მთავრობის თანხმობის მიღების წერილობითი ინიციატივა, ფაკულტეტმა, როგორც წესი, უნდა წარმოადგინოს

მომდევნო სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარის წარდგენის ვადის დადგომამდე 9 თვით ადრე.

8. შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე სასწავლო სამაგისტრო გრანტზე მეტი ოდენობით სწავლის საფასურის განსაზღვრაზე საქართველოს მთავრობის თანხმობის მიღების შემთხვევაში, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი ამზადებს საკითხს/პროექტს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე წარსადგენად (ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან, იურიდიულ დეპარტამენტთან და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით/ვიზირებით).
9. ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება, თუკი არ შესაბამეა ამ წესით განსაზღვრულ სწავლის საფასურის ოდენობას, მიიღება ერთობლივი ხელშეკრულების პირობების, ამ პროგრამის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების და შესაბამისი ფაკულტეტის წერილობითი ინიციატივის გათვალისწინებით, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ წარდგენილი სამსახურებრივი ბარათის და გადაწყვეტილების პროექტის საფუძველზე (ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან, იურიდიულ დეპარტამენტთან და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით/ვიზირებით).
10. დაუშვებელია საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღებამდე ბსუ-ს მართვის ორგანოებმა მომდევნო სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარში ასახოს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური, სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხაზე მეტი ოდენობით.
11. ამ წესით განსაზღვრული ინიციატივა/კორესპონდენცია წარდგენილი/გაგზავნილი უნდა იქნეს შესაბამის უწყებებში/დაწესებულებებში წინამდებარე წესისა და ბსუ-ს ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით (მათ შორის საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან, იურიდიულ დეპარტამენტთან და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით/ვიზირებით).

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის ხარჯთაღრიცხვის (პირველადი) დოკუმენტის პროექტი

ბსუ-ს _____ ფაკულტეტის _____ საგანმანათლებლო პროგრამის „-----“
 ბიუჯეტი (პირველადი ხარჯთაღრიცხვა)
 ----- საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებში - ---- კრედიტი;
 პროგრამის ხანგრძლივობა - ----- სასწავლო წელი.

1	შემოსავლები (ლარში)	
1.1	სტუდენტთა რაოდენობა	
1.2	სწავლის წლიური საფასური ერთ სტუდენტზე(ლარში)	
1.3	სულ შემოსავალი ¹ სასწავლო წელი (ლარში)	
2	ხარჯები (ლარში)	
2.1	პროგრამის განმახორციელებელი ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება (პირდაპირი დანახარჯები), მათ შორის:	
2.1.1	პროფესორი	
2.1.2	ასოცირებული პროფესორი	
2.1.3	ასისტენტ-პროფესორი	
2.1.4	ასისტენტი	
2.1.5	მოწვეული პროფესორი	
2.1.6	მოწვეული ასოც. პროფესორი	
2.1.7	მოწვეული ასისტ. პროფესორი	
2.1.8	მოწვეული უფროსი მასწავლებელი	
2.1.9	მოწვეული მასწავლებელი	
2.2	არაპირდაპირი დანახარჯები (პროგრამის განხორციელებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები, შემოსავლის 40%)	
2.3	სულ ხარჯი	
3	მოგება	

შენიშვნა: წინამდებარე პირველადი ხარჯთაღრიცხვის შედგენის საფუძველია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N 07-01/36 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსზღვრის წესი“. პირველადი ხარჯთაღრიცხვის გაანგარიშებისათვის ასევე გამოყენებულია შემდეგი სამართლებრივი აქტები და მონაცემები

1 პროგრამის განმახორციელებელი ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის/მოწვეული პირის აკადემიური (სამუშაო) დატვირთვა საათებში

1	პროფესორი	
2	ასოცირებული პროფესორი	
3	ასისტენტ-პროფესორი	

4	ასისტენტი	
5	მოწვეული პროფესორი	
6	მოწვეული ასოცირებული პროფესორი	
7	მოწვეული ასისტენტ-პროფესორი	
8	მოწვეული უფროსი მასწავლებელი	
9	მოწვეული მასწავლებელი	
10	სულ	

2. ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირის წლიური სავალდებულო აკადემიური (შრომითი) დატვირთვა და თანამდებობრივი სარგო, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი საშტატო ერთეულისათვის ბსუ-ში (საფუძველი: „ბსუ-ს აფილირების წესი“ და ბსუ-ს საშტატო განრიგი)

	ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა	სავალდებულო წლიური აკადემიური დატვირთვა (საათებში)	თანამდებობრივი სარგო/ხელფასი (ლარი)
1	პროფესორი		
2	ასოცირებული პროფესორი		
3	ასისტენტ-პროფესორი		
4	ასისტენტი		

3. პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული პერსონალის საათობრივი შრომის ანაზღაურება/ტარიფები (საფუძველი: ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 27 ოქტომბრის № 01-11/73 ბრძანება)

	მოწვეული აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალი	საათობრივი შრომითი დატვირთვა	1 სთ-ის შრომის ანაზღაურება/ტარიფი (ლარი)	საათობრივი შრომის ანაზღაურება ჯამში (ლარი)
1	მოწვეული პროფესორი			
2	მოწვეული ასოცირებული პროფესორი			
3	მოწვეული ასისტენტ-პროფესორი			
4	მოწვეული უფროსი მასწავლებელი			
5	მოწვეული მასწავლებელი			